ფსიქოლოგია და განათლების მეცნიერებები 2025 | No. 6, 68-79

ISSN2667-9825(online)

გავლენის ეფექტით სტიმულის დადებითად ან უარყოფითად შეფასება 12 და 13 წლის ბავშვებში

ანა რიკაძე

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ბაკალავრი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Positive or negative evaluation of Stimuli with Effect Of Influence in 12 and 13 years old children

Ana Rikadze

Bachelor of the Faculty Psychology and Education, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

„ფსიქოლოგია და განათლების მეცნიერებები“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ოფიციალური ელექტრონული სტუდენტური ჟურნალია.

ISSN2667-9825(online)

აბსტრაქტი

გავლენის ეფექტის შესახებ კვლევა სოციალური ფსიქოლოგიის ნაწილია და გულისხმობს ერთი ადამიანის აზრით, ემოციით, ქცევით, რაიმე ინსტრუმენტის გამოყენებით მეორე ადამიანზე გავლენის მოხდენას იმგვარად, რომ შეიცვალოს მისი ქცევა, დამოკიდებულება, განწყობა. ზოგიერთი ავტორის თქმით, დარწმუნება გავლენის ერთერთი სახა, ჩემი კვლევა კი ფოკუსირდება გავლენის ეფექტის გამოვლენაზე ბავშვებში სწორედ დამარწმუნებელი კომუნიკაციის გზით. ჰიპოთეზა იყო შემდეგნაირი, რომ გავლენის ეფექტით წინმსწრები სტიმულის პირობაში 12-13 წლის ბავშვების მიერ ნახატების დადებითად შეფასების რიცხვითი მაჩვენებელი სტატისტიკურად მეტია ვიდრე სასტიმულო მასალის არარსებობის პირობაში. კვლევაში სულ 30 სკოლის მოსწავლე მონაწილეობდა, 12 და 13 წლის ბავშვები, მათ მოეთხოვებოდათ მხატვრის- მარკ როტკოს ნახატების შეფასება თუ რამდენად მოსწონდათ ან არ მოსწონდათ ისინი, თავდაპირველად წინმსწრები ინფორმაციის არსებობის პირობაში, ხოლო შემდეგ, მხოლოდ ზოგადი ინტრუქციის თანხლებით და წინასასტიმულო ინფორმაციის გარეშე. ექსპერიმენტი ჯგუფთაშორის სქემით ჩატარდა. მონცემები დამუშავებულ იქნა პროგრამა SPSS-ის გამოყენებით. ექსპერიმენტში დამოუკიდებელ ცვლადს წინასწარ წარსადგენი პოზიტიური შინაარსის ინფორმაცია წარმოადგენდა, ხოლო დამოკიდებულს - მონაწილის მიერ შეფასებული ნახატის საშუალო რიცხვითი მაჩვენებელი. ჰიპოთეზა არ დადასტურდა და სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არ გამოვლინდა პირველ და მეორე ჯგუფში პასუხების საშუალო მაჩვენებლებს შორის. მსგავსი შედეგი კი შესაძლოა მონაწილთა სიმცირით, შესაფასებელი მასალის სპეციფიკურობით, წინასასტიმულო ინფორმაციის სუსტად ფორმულირებით ან/და სხვა საკონტროლო ცვლადების გაუთვალისწინებლობითა თუ დისტრაქტორებით ყოფილიყო განპირობებული.

საკვანძო სიტყვები:*გავლენის ეფექტი,ბავშვები*

Abstract

Research about the effect of influence is a part of social psychology and involves one person's thought, emotion, behavior that is used as tool to influence on another person in such a way as to change his behavior, attitude or mood. According to some authors, persuasion is one of the aspects of influence. my research focuses on revealing the effect of influence in children through persuasive communication. According to our hyphothesis, the number of positive evaluations of pictures by 12-13-year-old children in the condition of the preceding stimulus with the influence effect is statistically higher than in the condition of the absence of stimulus material. A total of 30 schoolchildren, 12- and 13-year-old children, participated in the study. They were asked to rate the paintings of the artist Mark Rothko and how much they liked or disliked them, initially in the presence of prior information, and then, only with general instructions and without pre-stimulus information. The experiment was conducted in an between-group scheme. The data was processed using SPSS software. In the experiment, the independent variable was pre-presented positive content information, and the dependent variable was the average numerical value of the picture evaluated by the participant. The hypothesis was not confirmed and there was no statistically significant difference between the mean values of the responses in the first and second groups. A similar result might have been due to the small number of participants, the specificity of the material to be evaluated, the weak or unsuitable formulation of the pre-stimulus information, distractors and/or another variables that needed to be controlled properly.

Keywords: *Effect Of Influence, children.*

ISSN2667-9825(online)

შესავალი

გავლენის ეფექტის კვლევა სოციალური ფსიქოლოგიის ნაწილია. ზოგადად, თუ სოციალურ-ფსიქოლოგიური გავლენის თეორიულ კონსტრუქტს განვიხილავთ, გულისხმობს ერთი ადამიანის აზრით, ქცევით, ემოციით მეორეზე ზეგავლენას იმ მიზნით, რომ მან შეიტანოს ცვლილებები თავის ქცევაში, ან როდესაც ადამიანი რაიმე საშუალებით ინსტრუმენტულად ზემოქმედებს მეორე ადამიანზე, მის ცნობიერებაზე, ქცევაზე, განწყობაზე(ნადირაშვილი, 2009). როდესაც ვამბობთ, რომ გავლენის ეფექტით სხვათა დამოკიდებულებების ან ქცევის ცვლილება გვაინტერესებს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება დამაწრმუნებელ კომუნიკაციას, ამ შემთხვევაში ჩვენ აქცენტს ვაკეთებთ ინფორმაციაზე, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს ადამიანზე. დარწმუნებაზე როდესაც ვსაუბრობთ, ვგულისხმობთ პროცესს, შევცვალოთ ათითუდები, რწმენები ან ქცევა, დამარწმუნებელი ინფორმაციის გზით(Izuma, 2013). ჯერ კიდევ არისტოტელეს მიერ იყო შემოთავაზებული დარწმუნების კონცეპტუალიზაცია(Wisse, 1989 ციტირებულია კვლევაში: Jorgensen, 1996), რომლის მიხედვითაც, დარწმუნება შედგება სამი ურთიერთდაკავშირებული განზომილებისგან: ლოგოსი, ეთოსი და პათოსი. ლოგოსი ლოგიკურ და არგუმენტირებულ მსჯელობას გულისხმობს დამარწმუნებელ კომუნიკაციაში, ეთოსი გუოისხმობს იმ დამაჯერებელ ძალას და სანდო მსჯელობას, რომელიც მოსაუბრისგან უნდა მოდიოდეს და განსაზღვრას, თუ როგორი იქნება მის მიერ გადმოცემული ინფორმაცია მსმენლის მიერ აღქმული, პათოსი კი ემოციურ ელემენტს გლისხმობს, რაც ინფორმაციის გამცემს საშუალებას აძლევს ემოციური გავლენა მოახდინოს რეციპიენტზე. ჩვენთვის, განსაკუტრებით მნიშვნელოვანია ემოციური კომპონენტის განხილვა, რადგან ვიდრე ქცევამდე ათითუდის ცვლილება გვაინტერესებს. მოცემულ ექსპერიმენტში გავლენის ეფექტზე სწორედ ამ კუთხით ვსაუბრობთ და აღვნიშნავთ, თუ როგორი მიმართებაა დამარწმუნებელ კომუნიკაციას და გავლენას შორის ემოციური კომპონენტის გათვალისწინებით, როგორ ვლინდება გავლენის ეფექტი და ახდენს თუ არა დამარწმუნებელი ინფორმაცია გავლენას მომდევნო სტიმულების შეფასებაზე, შესაბამისად ათითუდის ცვლილებაზე, შეაფასონ რაიმე უფრო დადებითად, ან უფრო უარყოფითად.

სოციალური გავლენა ფართო ცნებაა და ის მრავალი ფორმით შეიძლება გამოვლინდეს ადმიანთა ცხოვრებაში, დარწმუნება შეგვიძლია მის ერთერთ გამოვლინებად მივიჩნიოთ (Izuma, 2017). არსებობს გარკვეული დასკვნები, რომელთა თანახმადაც, პოზიტიურად ჩამოყალიბებული შეტყობინებები შეიძლება იყოს უფრო დამაჯერებელი, როდესაც მცირე აქცენტი კეთდება დეტალურ ინფორმაციაზე და მათ გადამუშავებაზე, მაგრამ ნეგატიური ჩარჩოს მქონე შეტყობინებები შეიძლება იყოს უფრო დამაჯერებელი, როდესაც აქცენტი გაკეთებულია დეტალურ ინფორმაციაზე(Maheswaran & Meyers-Levy, 1990), რაც თავის მხრივ გავლენას ახდენს ადამიანთა შემდგომ ქცევას ან პასუხის გაცემასა და გადაწყვეტილების მიღებაზე. თუმცა, ზემოთხსენებული დასკვნები უფრო მეტად საკითხის თეორიულ მიმოხილვას გვთავაზობს და არა ემპირიულ დადასტურებას. ამას გარდა, განსხვავებული შედეგები და ინფორმაციის გადამუშავების სპეციფიკურობა არ გამომდინარეობს პოზიტიურად ან ნეგატიურად ჩამოყალიბებული შეტყობინებიდან, ჰიპოთეტურად, განსხვავება გამომდინარეობს ინფორმაციაში დეტალებსა თუ საერთო შინაარსზე აქცენტირებიდან. მნიშვნელოვანია აქცენტირება იმაზე, რომ ჩვენ, მოცემული კვლევის ფარგლებში, გვაინტერესებს თავად ინფორმაციის ემოციური დატვირთვა როგორ გავლენას ახდენს ინფორმაციის აღქმაზე მიმღების მიერ და არა თავად კომუნიკატორის აფექტური კომუნიკაციის ხერხი. ემოციური კომპონენტით დატვირთული კომუნიკაცია სტრატეგიულად სასარგებლოდ მიიჩნევა, რადგან აფექტურ ტიპის ინფორმატიული მიმართვა უფრო მეტად იძენს დამარწმუნებელ გავლენას მიმღების ათითუდის შეცვლისათვის(Jorgensen, 1996). საინტერესოა ჰოლისტური აფექტი, რომელიც გლობალურ აფექტურ პასუხებს გულისხმობს

ISSN2667-9825(online)

სტიმულზე(Agarwal, Malhotra, 2005), ასეთივე გლობალურ პასუხებში შეიძლება მოვიაზროთ სტიმულის დადებიტად ან უარყოფითად შეფასება, რადგან დადებითისა თუ უარყოფითის მრავალი ვარიაცია შეიძლება იგულისხმობს პიროვნებამ.

ერთერთი კვლევის თანახმად(Lyons, Hasell, Tallapragada, & Jamieson, 2019), ვარაუდობენ, რომ აუდიტორიისათვის წარდგენილი შეტყობინების, ინფორმაციის სხვადასხვაგვარი აფექტური დატვირთვა მოქმედებს მათ ატიტუდებზე/დამოკიდებულებებზე, მათ მიერ კონკრეტული ინფორმაციის სხვადასხვაგვარ გადამუშავებაზე. ავტორებმა სამი სახის განსხვავებულად ფორმულირებული ინფორმაცია წარუდგინეს მონაწილეებს და ნახეს, რომ სამივე ინფორმაციის შემთხვევაში დამოკიდებულებები ცვალებადი იყო. კერძოდ, უფრო მძლავრად არგუმენტირებული ინფორმაცია მეტ გავლენას ახდენდა დამოკიდებულების ჩამოყალიბება/გაძლიერებაზე, და ამის ბაზისად განიხილებოდა ფაქტი, რომ ამგვარი ინფორმაციის მიწოდებისას მეტ კოგნიტური გადამუშავების პროცესს აქვს ადგილი და აღქმული არგუმენტის სიძლიერე იძენს დამარწმუნებელ, ზეგავლენის ეფექტს, რადგან მასზე ფოკუსირება ხდება, ეს კი ცვლის ათითუდს, რითაც შემდეგ პროგნოზირებენ შესაბამის ქცევას.

ერთერთ საინტერესო კვლევაში გამოთქმულია მოსაზრება სიტყვა ჯანსაღისა და გემოვნურის/გემრიელის უარყოფითი კორელაციური კავშირის შესახებ და ავტორები სხვადასხვა ლიტერატურის მიმოხილვაზე დაყრდნობით ამბობენ(Wardle & Huon, 2000), რომ ხშირად ბავშვებისათვის ეს ორი სიტყვა მართლაც ურთიერთგამომრიცხავად აღიქმება, უფრო ზუსტად, რაც ჯანსაღია ის უგემური უნდა იყოს, ვიდრე უფრო გემრიელი არაჯანსაღ საკვებთან შედარებით. მათ შემდეგ ექსპერიმენტულად გვაჩვენეს თუ როგორც იცვლება ბავშვების დამოკიდებულება კონკრეტული სასმლისადმი სიტყვა ,,ჯანსაღით'' მანიპულირებისას(ეტიკეტირება გამოიყენეს) და როგორ ცვალებადობს მათი შეფასება კონტროლირებად და არაკონტროლირებად პირობებში. შედეგებმა კი აჩვენა რომ ამგვარად მიწოდებული(ჯანსაღად მიჩნეული და მიწოდებული) სასმელი მათ ნაკლებად გემრიელად შეაფასეს და ნაკლებ სურვილს გამოხატავდნენ მშობლებთან რომ ეყიდათ ეს კონკრეტული სასმელი, ხოლო იგივე სასმელი, რომლის მიწოდებასაც არ უსწრებდა წინასწარი შეტყობინება, რომელიც გავლენას მოახდენდა მათ მიერ შეფასებაზე, მეტად სასურველად შეაფასეს.

დარწმუნებისა და კომუნიკაციის გზით გავლენის ეფექტებს ასევე ვხვდებით ერთერთ საინტერესო კვლევაში, სადაც მეოთხე კლასელ ბავშვებს, კონკრეტულად გოგონების ერთ ჯგუფს, წარუდგინეს მოთხრობა, სადაც ყურადღება გამახვილებული იყო ქალების ტრადიციულ როლებსა და სამსახურზე, ხოლო მეორე ჯგუფს - მოთხრობა სადაც ქალების არატრადიციული როლებისა და საქმიანობის შესახებ იყო საუბარი. (Ashby, & Wittmaier, 1978). შემდგომ მათ ეძლეოდათ ფოტომასალა ასარჩევად რომლებიც შეიცავდა სამუშაოს აღწერას და ზედასრთავი სახელების ჩამონათვალს შესაფასებლად. დამოკიდებულებების ცვლილება თვალსაჩინო, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი იყო, რადგან გოგონებმა რომლებმაც ქალთა არატრადიციული როლების შესახებ მოისმინეს ისტორია, ქალისთვის უფრო მეტად შესაფერისად ჩათვალეს და დაახასიათეს ,,მამაკაცის როლისათვის დამახასიათებელი სამუშაოები'' ვიდრე იმ ბავშვების ჯგუფმა, რომელთაც ქალის ტრადიციულ როლებზე მოისმინეს ინფორმაცია. წინასწარ წარდგენილი ინფორმაცია გავლენას ახდენდა მონაწილეთა დამოკიდებულებების ცვლილებასა და მათ მიერ მომდევნო შეფასებით აქტივობაზე.

განხილული თეორიული ვარაუდების, კვლევებისა და ასევე, ჩვენთვის საინტერესო საკვლევი კითხვიდან გამომდინარე, ჰიპოთეზა შემდეგნაირად ჟღერს: გავლენის ეფექტით წინმსწრები სტიმულის პირობაში 12-13 წლის ბავშვების მიერ ნახატების დადებითად შეფასების რიცხვითი მაჩვენებელი სტატისტიკურად მეტია ვიდრე სასტიმულო მასალის არარსებობის პირობაში.

ექსპერიმენტში დამოუკიდებელ ცვლადს წარმოადგენს წინასწარ წარდგენილი პოზიტიური შინაარსის ინფორმაცია. გვაქვს დამოუკიდებელი ცვლადის ორი დონე, წარსადგენი

ISSN2667-9825(online)

ინფორმაციის არარსებობის დონე და მეორე - სადაც წინასწარ პოზიტიურ ინფორმაციას წარვადგენთ უშუალოდ შესაფასებელი დავალების მიცემამდე. დამოკიდებული ცვლადი კი არის მონაწილის მიერ სტიმულის შეფსების საშუალო რიცხვითი მაჩვენებელი. რაც შეეხება საკონტროლო ცვლადებს, პირველ რიგში ყველა მონაწილეს ერთნაირად მიეწოდებოდა სასტიმულო მასალა, რათა მონაცემების დანაკლისს არ ეჩინა თავი. გასაკონტროლებელი ცვლადები გვქონდა ასევე დამოუკიდებელი ცვლადის მიწოდებისას ხმის ტემბრი, ინტონაცია. საუბრის მანერა ნეიტრალური უნდა ყოფილიყო. ასევე, მონაწილეების გადაღლა, მათი სურვილი და ტენდენცია დაესრულებინათ დავალებები სწრაფად.საკონტროლო ცვლადია ასევე ხმაური, რადგანაც სკოლის გარემოში ტარდებოდა ექსპერიმენტი.

კვლევის მეთოდები

მონაწილეები

კვლევაში გვყვავდა 30 მონაწილე, მათგან 15 ცდის პირი 12 წლის, ხოლო 15 - 13 წლის. 14 მონაწილე მამრობითი სქესის, ხოლო 16 - მდედრობითი. ბავშვებს მივაწოდეთ ინფორმაცია, იმის შესახებ, რომ კვლევაში მონაწილეობა ნებაყოფლობითია და თავდაპირველად თანხმობა მათგან მივიღეთ, ხოლო შემდეგ მშობლებისაგან და კლასის ხელმძღვანელებისგან.

მასალები

ჰიპოთეზის შესამოწმებლად და კვლევის ჩასატარებლად დაგვჭირდა მერხები, სკამები, განათებული ოთახი, სადაც კვლევის მონაწილეებს კომფორტულად შეეძლოთ სასტიმულო მასალის დანახვა, გამოვიყენეთ კომპიუტერი, პრინტერი და 35 თაბახის ფურცელი(ზედმეტი იმ შემთხვევისათვის თუ კი მონაწილეს ახალი ფურცელი დასჭირდებოდა), ამოვბეჭდეთ ტესტი/მონაწილის მიერ შესაფასებელი მასალა. შესაფასებელ მასალას წარმოადგენდა მარკ როტკოს ნამუშევრები. ორივე: ექსპერიმენტული და საკონტროლო პირობისათვის ნახატები ერთნაირია(იხილეთ დანართი 1.1). ასევე დაგვჭირდა 30 კალამი. მონაწილეთა მიერ მიღებულ ინფორმაციას გავაციფრულეთ, თითოეული მონაწილის პასუხებს ჯერ excel-ის ფაილის სახით წარმოვადგინეთ, ხოლო შემდეგ ნედლი მონაცემების დასამუშავებლად გამოვიყენეთ SPSS პროგრამა, კერძოდ დამოუკიდებელი შერჩევების t ტესტი, რადგან ექსპერიმენტში გვქონდა დამოუკიდებელი ცვლადის ორი დონე და ის სუბიექტთა შორის სქემით ჩატარდა.

პროცედურა:

ექსპერიმენტის ჩასატარებლად, მივედით გურამ რამიშვილის სახელობის თბილისის No.20 საჯარო სკოლაში და მეექვსე და მეშვიდე კლასის ხელმძღვანელებს გავაცანით ექსპერიმენტის იდეა, ჩატარების პროცედურის შესახებ ინფორმაცია, ასევე ბავშვებსაც გავაცანით ზოგადი ინფორმაცია ექსპერიმენტის შესახებ. ვთხოვეთ კლასის ხელმძღვანელებს რომ დაკავშირებოდნენ მონაწილეების მშობლებს და მათგან ინფორმირებული თანხმობის შესახებ ინფორმაცია მოეწოდებინათ ჩვენთვის. შემდეგ ეტაპზე, გაკვეთილების შემდეგ ნახევარი საათით ბავშვების პირველი ჯგუფი ჩაერთო ექპერიმენტში, რომელიც 15 მონაწილისაგან შედგებოდა და მათგან 7 მამრობითი სქესის ხოლო 8 მდედრობითი სქესის წარმომადგენელი იყო, ასევე, 6 მოსწავლე 12 წლის, ხოლო 9 - 13 წლის. ვიდრე მათ ფურცლებზე ამობეჭდილი მასალა წარედგინებოდათ, მათ ვუთხარით, რომ ჯერ მოისმენდნენ კონკრეტული სახის ტექსტს, შემდეგ დაურიგდებოდათ ტესტი ამობეჭდილი ნახატებით, რომელიც იმის მიხედვით უნდა შეეფასებინათ თუ რამდენად მოსწონთ ისინი. ასევე ვუთხარით, რომ სრულიად თავისუფალი არიან არჩევანში, და მათი მონაცემები კონფიდენციალურია, არ არის საჭირო, რომ ფურცელს სახელი, გვარი ან ასაკი დააწერონ. დამოუკიდებელი ცვლადის პირველ დონეზე,

ISSN2667-9825(online)

ექსპერიმენტული ჯგუფისათვის კომუნიკაციის გზით გავლენის ეფექტის მოსახდენად ინფორმაცია შემდეგნაირად ჟღერს: ,,მე თქვენ ახლა წარგიდგენთ მარკ როტკოს ფოტოებს, რომლის ნამუშევრებმაც რევოლუცია მოახდინა აბსტრაქტულ მხატვრობაში, ისაა ბრწყინვალე წარმომადგენელი ფერწერული მხატვრობისა და საოცრად ლამაზად ახერხებს ჩვენში ემოციების აღძვრას. საოცარ სანახაობას ქმნის ფერების შეთანხმება მის ნახატებში. ის ბრწყინვალე მოაზროვნე, ინტელექტუალი, განათლებული ადამიანი იყო. ძალიან კეთილი და პატიოსანი პიროვნება. მის მიერ თითოეულ ნახატში ფერებისათვის ასეთი ხაზგასმა კიდევ უფრო გამოკვეთს მის მიზანს, რომ აღძრას ჩვენში ემოციები, ფერებზე მთელი აქცენტი კი გვეხმარება ნახატები აღვიქვათ როგორც ერთი მთლიანი სიუჟეტი. მისი თითოეული კომპოზიცია გვანახებს თუ რამდენად აინტერესებს მას ადამიანის მიერ ფერების სილამაზის აღქმა და აღქმის პირდაპირპროპორციული კავშირი ემოციასთან. გთხოვთ, შეაფასოთ თუ რამდენად მოგწონთ ან რამდენად არ მოგწონთ ისინი. თითოეული ფოტოს ქვეშ მოცემულია რიცხობრივი მაჩვენებელი სადაც, 5 გულისხმობს: ძალიან მომწონს, 4 - მომწონს, 3 - ნეიტრალურ ემოციას იწვევს. 2 - არ მომწონს. 1-ძალიან არმომწონს.”

ამ ინფორმაციის წარდგენის შემდეგ ვუთხარით დასაზუსტებლად, რომ აუცილებელი და სავალდებულოა ყველა ფოტოს შეფასება გარკვეული ქულით და, ასევე, რომ მათ 10 წუთი ჰქონდათ ნახატების შესაფასებლად. დავურიგეთ ფურცლები, სადაც თითოეული მონაწილისათვის მარკ როტკოს ხუთი ნახატი იყო წარმოდგენილი. 10 წუთის შემდეგ კი ვთხოვეთ დასრულებული ვერსია მოეტანათ და მაგიდაზე დაელაგებინათ. როგორც კი ექპერიმენტულმა ჯგუფმა დაასრულა, დავიწყეთ ექსპერიმენტის შემდეგი სერია. მეორე, საკონტროლო პირობაში ჯგუფს, ასევე 7 მდედრობითი სქესის და 8 მამრობითი სქესის მონაწილეებით შემდგარს(ასაკობრივი გადანაწილებაც ექსპერიმენტული ჯგუფის მსგავსი)მივაწოდეთ ზოგადი ინსტრუქცია: ,,თქვენ ახლა დაგირიგდებათ ფურცლები, რომელზეც 5 ნამუშევარია წარდგენილი. მოგეთხოვებათ რომ თითოეული ნახატის ქვეშ მოცემულ კითხვას იმის მიხედვით უპასუხოთ, რამდენად მოგწონთ ან რამდენად არ მოგწონთ ისინი და მიუთითოთ შესაბამისი რიცხვითი მაჩვენებელი. პასუხების არჩევაში სრულიად თავისუფალი ხართ. კვლევა კონფიდენციალურია და არ საჭიროებს თქვენს მიერ ფურცლებზე სახელის, გვარის ან ასაკის დაწერას.” შემდეგ კი მივაწოდეთ ფურცლები, რომლებზეც კვლავ მარკ როტკოს, ზუსტად იგივე კომპოზიციები იყო წარმოდგენილი იგივე რაოდენობით რაც ექსპერიმენტული ჯგუფისთვის.

ნახატების შესაფასებლად გამოყენებულ იქნა ლაიკერტის სკალა, სადაც 1 ნიშნავდა ძალიან არ მომწონს, ხოლო 5 - ძალიან მომწონს. წინასწარ ექსპერიმენტულ და საკონტროლო პირობაში მიწოდებული ტესტების ფურცლები დანომრილი გვქონდა. ექსპერიმენტულ პირობაში თითოეულ ტესტს მინიჭებული ჰქონდა ნომერი მსგავსი თანმიმდევრობით: 1.1; 1.2; 1.3... 1.15 ხოლო საკონკტოლო პირობაში: 2.1; 2.2; 2;3... 2.15. შემდეგ თითოეული პირობიდან მონაცემები შევიყვანეთ excel-ის ფაილში, თითოეული მონაწილის მიერ შეფასებული ნახატების რიცხვობრივი მოცემულობები გავასაშუალოეთ და შემდგომ მონაცემები დასამუშავებლად SPSS-ის პროგრამაში გადავიტანეთ, მონაცემთა ანალიზისათვის გამოვიყენეთ დამოუკიდებული შერჩევების t ტესტი და ერთმანეთს შევადარეთ საშუალო ქულების პროპოციული მაჩვენებლები საკონკტოლო და ექსპერიმენტულ პირობებს შორის.

ISSN2667-9825(online)

შედეგები

კვლევაში შედარებული გვაქვს დამოუკიდებელი ცვლადის ორი დონე, პირველი, სადაც პოზიტიური შინაარსის ინფორმაციას წინაწარ ვაწვდით მონაწილეებს და მეორე, წინმსწრები სტიმულის არარსებობის დონე.

სტატისტიკური ანლიზის საფუძველზე, ჩვენს მიერ დასახული ჰიპოთეზა, რომ გავლენის ეფექტით წინმსწრები სტიმულის პირობაში (M1=3.2 SD= .94) დადებითად შეფასებული ნახატების საშუალო მაჩვენებელი სტატისტიკურად მეტია ვიდრე სტიმულის არარსებობის პირობაში (M=2.3 SD= .81) არ დადასტურდა.[t(28)=1.03 P= .311]

შედეგების განხილვა

ჩვენი ექპერიმენტი შეეხებოდა ბავშვებში, კონკრეტულად 12-13 წლის ასაკის მოსწავლეებში გავლენის ეფექტის გამოვლენას დამარწმუნებელი კომუნიკაციის გზით. თავდაპირველად, სწორედ იმის გამო, რომ ბევრი კვლევა ამ საკითხზე არ არის ჩატარებული კონკრეტულად ბავშვთა პოპულაციაზე, უფრო მეტად საინტერესოდ გვეჩვენებოდა, გვეკვლია საკითხი ამ ასაკის მონაწილეებში. გარდა ამისა, საინტერესოდ მივიჩნიეთ გვეჩვენებინა, ბავშვებში მსგავსი აფექტური დატვირთვით ინფორმაციის დამარწმუნებლად წარდგენა, დაგვენახა გამოვლინდებოდა თუ არა ეფექტი, რაც აღვივებს ინტერესს იმასთან დაკავშირებით, შეიძლება თუ არა ეფექტური იყოს კონკრეტულ სიტუაციაში, კონკრეტული საკითხის სწავლებისას, კომუნიკაციის მსგავსი კომპონენტის გამოყენება. ჩვენთვის ასევე საინტერესო იყო სასტიმულო მასალად ნახატების გამოყენება რადგან ვთვლით, რომ ბავშვებისათვის, რომელთაც სწორედ ამ პერიოდში უყალიბდებად გემოვნება და ფერების სპეციფიკურობის აღქმა, გავლენის ეფექტს შეიძენდა ამგვარი შესაფასებელი მასალა. თუმცა, ჰიპოთეზა არ დადასტურდა, რაც ვფიქრობთ, დისტრაქტორებითა და საკონტროლო ცვლადებით არის განპირობებული. მაგალითად, შესაფასებელი მასალის სიმცირე ან მისი ზედმეტი სპეციფიკურობა. თითოეულ მოსწავლეს ევალებოდა მხოლოდ ხუთი ნახატის შეფასება, რაც, შესაძლოა, ცოტა იყო მოცემული ექპრიმენტული პირობისათვის, ასევე, საკმაოდ სპეციფიკურია მარკ როტკოს ნამუშევრები და ფერებიც საკმაოდ მკვეთრი, შესაძლია ვერანაირ წინასასტიმულო მასალას ვერ შეეცვალა მათი შთაბეჭდილება, რომელიც ნახატის სპეციფიკურმა აღქმამ გამოიწვია. ვფიქრობ, ხელისშემშლელი ფაქტორი შეიძლება ყოფილიყო დამოუკიდებელი ცვლადის არამკაფიოობა. ლიტერატურის მიმხილვის დროს ვისაუბრეთ თეორიულ მიმოხილვაზე, რომელზე დაყრდნობითაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა წინასწარ მისაწოდებელი ინფორმაციის ფორმულირებას და მის აფექტურ დატვირთვას, რის მიხედვთაც ცვალებადობდა შემდგომი დამოკიდებულებები(Lyons, Hasell, Tallapragada, & Jamieson, 2019), შესაძლოა დამოუკიდებელი ცვლადი არ იყო აფექტურად საკმარისად დატვირთული, შესაძლოა საჭირო იყო მისი რაიმე არგუმენტით დატვირთვა ან სხვა ემოციური ელემენტის გაძლიერება. შესაძლოა გავლენა მოეხდინა მონაწილეთა სიმცირესაც, რადგან მხოლოდ 30 მონაწილე გვყავდა, ასევე, შესაძლოა პროცედურის გაწერაში იყო ხარვეზი, მაგალითად, სავარაუდო ზედსართავი სახელების სიის მიწოდების საფუძველზე რომ შეეფასებინათ ნახატები, ან ნახატების ნაცვლად წინადადებები მიგვეწოდებინა და მათი შეფასება ყოფილიყო მონაწილეებისთვის დავალება, უფრო ეფექტური ყოფილიყო და არა ფოტოების 5 ბალიანი სისტემით შეფასება. პიროვნული ცვლადები საკმაოდ საყურადღებოა, თუმცა მათი გაკონტროლება ასევე საკმაოდ რთული. მაგალითად, როდესაც ვსაუბრობთ ბავშვების გადაღლაზე, გასათვალისწინებელია ფაქტი, რომ ორივე ჯგუფი 6 გაკვეთილის შემდეგ ჩაერთო კვლევაში და შესაძლოა ინტერესი, მაღალი მოტივაცია აღარ ჰქონდათ, შესაძლოა შესუსტებულიყო მათი ყურადღება. თუმცა, რადგან ორივე ჯგუფი ექვსი გაკვეთილის შემდეგ ჩაერთო ექსპერიმენტში, განსხვავების დაფიქსირება პასუხებს შორის ამ

ISSN2667-9825(online)

ცვლადით ნაკლებად მოსალოდნელია ამ ექსპერიმენტის შემთხვევაში. ასევე ვერ გაკონტროლდა სხვა პიროვნული ცვლადები, როგორებიცაა მონაწილეების ხასიათის ცვლილება ექსპერიმენტში ჩართვამდე, რაც საკმაოდ რთულია, რადგან რაიმე მოვლენას შეიძლება მათი ხასიათის ცვლილება გამოეწვია, რაც აისახა მათ მონაწილეობასა და შედეგებზე.

ISSN2667-9825(online)

გამოყენებული ლიტერატურა:

Izuma, K. (2013). The neural basis of social influence and attitude change. Current Opinion in Neurobiology, 23(3), 456–462. doi:10.1016/j.conb.2013.03.009

Maheswaran, D., & Meyers-Levy, J. (1990). The Influence of Message Framing and Issue Involvement. Journal of Marketing Research, 27(3), 361–367. https://doi.org/10.2307/3172593

Wardle, J., & Huon, G. (2000). An experimental investigation of the influence of health information on children's taste preferences. Health Education Research, 15(1), 39–44. https://doi.org/10.1093/her/15.1.39

Lyons, B. A., Hasell, A., Tallapragada, M., & Jamieson, K. H. (2019). Conversion messages and attitude change: Strong arguments, not costly signals. Public Understanding of Science, 28(3), 320–338. https://doi.org/10.1177/0963662518821017

Ashby, M. S., & Wittmaier, B. C. (1978). Attitude changes in children after exposure to stories about women in traditional or nontraditional occupations. Journal of Educational Psychology, 70(6), 945–949. https://doi.org/10.1037/0022-0663.70.6.945

Agarwal, J., & Malhotra, N. K. (2005). An integrated model of attitude and affect. Journal of Business Research, 58(4), 483–493. doi:10.1016/s0148-2963(03)00138-3

Jorgensen, P. F. (1996). Affect, persuasion, and communication processes. Handbook of Communication and Emotion, 403–422. doi:10.1016/b978-012057770-5/50017-5

ნადირაშვილი, დ. (2009). სოციალურ-ფსიქოლოგიური გავლენა. გამომცემლობა ,,ნეკერი”.

ISSN2667-9825(online)

დანართი 1.1

დანართი1.2

Group Statistics

	Iv	N	Mean	Std. Deviation	Std. Error Mean
Dv	positive shesavali	15	3.2800	.94959	.24518
	positive informaciis ararseboba	15	2.9467	.81580	.21064

Independent Samples Test

		Levene's Test for Equality of Variances		t-test for Equality of Means	
		F	Sig.	t	df
Dv	Equal variances assumed	.209	.651	1.031	28
	Equal variances not assumed			1.031	27.378

Independent Samples Test

		t-test for Equality of Means			
		Sig. (2-tailed)	Mean Difference	Std. Error Difference	95% Confidence Interval of the Difference
					Lower
Dv	Equal variances assumed	.311	.33333	.32324	-.32879
	Equal variances not assumed	.311	.33333	.32324	-.32947

Independent Samples Test

	t-test for Equality of Means

ISSN2667-9825(online)

		95% Confidence Interval of the Difference
		Upper
Dv	Equal variances assumed	.99546
	Equal variances not assumed	.99613